საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენი

საქართველოს სახალხო დამცველი

№11 პერიოდული გამოცემა 2015 წ. ნოემბერი

გამოცემულია ევროკავშირის პროექტის „საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ხელშეწყობა" მხარდაჭერით

1. სახალხო დამცველის მისალმება

საქართველოს სახალხო დამცველი
უჩა ნანუაშვილი

ნოემბერში უამრავი საინტერესო მოვლენა მოხდა ჩვენს ქვეყანაში და პირადად ჩვენი აპარატის ცხოვრებაშიც. ნოემბერში პირველად ამუშავდა **სახალხო დამცველის ცხელი ხაზი, სატელეფონო ნომრით – 1481.** ცხელი ხაზი კომუნიკაციის ბევრად უფრო მოქნილი და ეფექტური მექანიზმია, რომელიც ყოველდღიურად, ოცდაოთხსაათიან რეჟიმში მოქალაქეებისგან მიიღებს ინფორმაციას სახელმწიფო (საჯარო) დაწესებულებების მხრიდან ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა სავარაუდო დარღვევებზე, მათ შორის, წამებისა და სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის სავარაუდო ფაქტებზე.

ნოემბრის მნიშვნელოვან მოვლენათა შორის განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო სტრასბურგში ვიზიტი, სადაც ევროსაბჭოსა და ევროპარლამენტში უმაღლესი თანამდებობის პირებთან გავმართეთ შეხვედრები; ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით საქართველოში არსებული ვითარება გავაცანით, თანამშრომლობისა და სასარგებლო ურთიერთობის გაღრმავების პერსპექტივებზე ვისაუბრეთ.

შინაარსი:

1. სახალხო დამცველის მისალმება 1
2. სახალხო დამცველის წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს 3
3. სახალხო დამცველის საერთაშორისო ვიზიტები და შეხვედრები 3
4. სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშები 5
5. სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა 6
6. ღირსშესანიშნავი თარიღები 15
7. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით 16
8. სახალხო დამცველის აპარატის ამბები 17

შევხვდით **ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს ტორბიორნ იაგლანდს, ადამიანის უფლებათა კომისარს ნილს მუჟნიეკსის და ევროსაბჭოს სხვა წარმომადგენლებს.** ვისაუბრეთ სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებულ აქტივობებსა და სპეციალურ ანგარიშებზე; მიმოვიხილეთ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა; პროკურატურის რეფორმა, ასევე, სასამართლო რეფორმა და კერძოდ, მოსამართლეთა დანიშვნის პროცესი; ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები და გალის რაიონში განათლების უფლების შეზღუდვა. ხაზი გავუსვი დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმისა და შრომის ინსპექციის შექმნის მნიშვნელობას.

შემდეგ დღეებში **ევროპის პარლამენტის** ვიცე–პრეზიდენტებთან, ასევე ევროკავშირ–საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის ხელმძღვანელთან და ევროპის პარლამენტის სხვადასხვა სტრუქტურებისა და პოლიტიკური ჯგუფების წევრებთან გამართულ შეხვედრებზე საქართველოს მიერ ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების საკითხებზე, მათ შორის დისკრიმინაციის აღმოფხვრის კუთხით განხორციელებულ ღონისძიებებზე და არსებულ გამოწვევებზე ვისაუბრეთ.

ვიზიტის ფარგლებში მე და ჩემი დელეგაციის წევრები ევროპის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე 25 ნოემბერს საქართველოს შესახებ გამართულ დებატებს დავესწარით.

ნოემბრის მნიშვნელოვან მოვლენათა შორის იყო გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს **უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) მეორე ციკლის ფარგლებში გამართული 23-ე სესია,** რომელზეც საქართველოში არსებული უფლებრივი მდგომარეობა განიხილებოდა. ღონისძიებას ჩემი მოადგილე ნათია კაციტაძე, პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნიკა კვარაცხელია და საერთაშორისო ურთიერთობებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსი ნიკო თათულაშვილი დაესწრნენ. სესიის დასრულების შემდეგ, კი რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა გამართეს გაეროს სხვადასხვა სტრუქტურებისა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით, ქვეყნის დიდ წარმატებად მიმაჩნია, რომ ნოემბერში საქართველოს პარლამენტმა პირველი მოსმენით განიხილა და მიიღო **კანონპროექტი 16–დან 18 წლამდე პირთა ქორწინების რეგისტრაციის წესის ცვლილებასთან დაკავშირებით.** ცვლილების თანახმად, ქორწინებაზე ნებართვის გაცემა მხოლოდ სასამართლოს შეეძლება და შესაბამისად, გაუქმდება დღეს მოქმედი მშობლის თანხმობის წესი, რომელიც პრაქტიკაში ძალიან ცუდ გავლენას ახდენდა ადრეულ ასაკში ქორწინების შემთხვევებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ კანონპროექტს ჩემს მიერ წარდგენილი საკანონმდებლო წინადადება უდევს საფუძვლად, რომელიც ჩვენი აპარატის მხრიდან საქმეთა ხანგრძლივი შესწავლის შედეგად მოპოვებულ ინფორმაციასა და მტკიცებულებებზე დაყრდნობით მოვამზადეთ. ასევე, გავითვალისწინეთ საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ანალიზი და გენდერული თანასწორობის სფეროში წარმატებული ქვეყნების საერთაშორისო პრაქტიკა.

გვერდს ვერ ავუვლი ვაკე-საბურთალოს პოლიციის V განყოფილებაში, იურიდიული დახმარების სამსახურის **ადვოკატის მიმართ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს განხორციელებული ძალადობის** ფაქტს. ადვოკატის მიმართ პროფესიული საქმიანობის მსგავსი უხეში ფორმებით ხელის შეშლა საფრთხეს უქმნის ინდივიდის უფლების და კანონის უზენაესობის დაცვას. შესაბამისად, სახელმწიფოს რეაგირება ერთგვარი ტესტია, რამდენად არსებობს ქვეყანაში დემოკრატიული წესრიგი, რამდენად დაცულია ადამიანის უფლება და რა ლეგიტიმურ ჩარჩოებში ზის პოლიციის უფლებამოსილება.

კვლავ, ისევე როგორც სხვა მსგავს ფაქტებზეც, ახლაც ვაცხადებ, რომ პოლიციელების მიერ სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულის გამოძიებისას პროკურატურამ უნდა განახორციელოს დანაშაულის სწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია, გამოავლინოს დამნაშავე პირები და გამოიყენოს ისეთი საპროცესო ღონისძიებები, რომლითაც გამოირიცხება სავარაუდო დამნაშავე პირების მიერ ზეწოლა, იძულება, მტკიცებულებების განადგურება, ან/და დანაშაულის კვლავ ჩადენა.

აქვე მინდა გავიხსენო **2012 წლის 27 თებერვალს** ხაშურის პოლიციის რაიონული სამმართველოს შენობაში **სოლომონ ქიმერიძის გარდაცვალების საქმე,** რომლის მონაწილე არცერთი სამართალდამცავი ამ დრომდე არ არის დასჯილი.

ცალკე მინდა ვისაუბრო **მოსამართლეთა დანიშვნის პროცესთან დაკავშირებით** და აღვნიშნო, რომ რამდენიმე განცხადება, წერილი, მიმართვა თუ შენიშვნა გავუგზავნე საქართველოს უზენაეს სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი

საბჭოს, სადაც მივუთითებდი, რომ, მოსამართლეთა კომპეტენტურობის შეფასებასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი იქნებოდა საერთო სასამართლოების მიერ საქმეთა განხილვის შესახებ სახალხო დამცველის მონიტორინგის შედეგების გათვალისწინება, რომელშიც კონკრეტულ მოსამართლეთა მიმართ სახალხო დამცველის მიერ წლების განმავლობაში დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ წარდგენილი რეკომენდაციები იგულისხმება.

სადავო არ უნდა იყოს, რომ მოსამართლეთა დანიშვნა/დაწინაურებას არსებითი გავლენა აქვს დემოკრატიული წესრიგის, კანონის უზენაესობაზე აგებული და ადამიანის უფლების დაცვაზე ორიენტირებული სახელმწიფოსთვის; დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემის თავდაპირველი გარანტია ისეთი კადრების შერჩევაა, რომლებიც სრულად აკმაყოფილებენ მოსამართლის მაღალ სტატუსს; მართლმსაჯულების შეუფერხებელი განხორციელების უმთავრეს ღერძს თავად მოსამართლე წარმოადგენს და შესაბამისად, აუცილებელია სახელმწიფომ კადრების ეფექტური ფორმირება სათავეშივე უზრუნველყოს.

მინდა იმედი ვიქონიო, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო გაითვალისწინებს ჩვენს ინფორმაციას და სათანადო გადაწყვეტილებას მიიღებს კომპეტენტური სასამართლო კორპუსის ჩამოყალიბებისა და სასამართლოს მიმართ საზოგადოებრივი ნდობის ამაღლებისთვის.

ნოემბერი მოვლენებით დატვირთული თვე იყო და ყველა ძირითადი ფაქტი, მიღწევა და გამოწვევა ჩვენს საინფორმაციო ბიულეტენშია შესული, რომელსაც იმედია, ინტერესით წაიკითხავთ.

2. სახალხო დამცველის წინადადებები სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს

2.1. წინადადება საქართველოს მთავარ პროკურორს ქობულეთის პოლიციის შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებზე გამოძიების დაწყების შესახებ

30 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს შს სამინისტროს ქობულეთის პოლიციის თანამშრომლების მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობის და სხვა დანაშაულებრივი ქმედებების ფაქტზე გამოძიების დაწყების წინადადებით მიმართა მთავარ პროკურორს. ბრალდებულები რ.ტ., ბ.მ., გ.გ. და გ.კ. ახსნა–განმარტებებში მიუთითებდნენ, რომ შსს ქობულეთის პოლიციის თანამშრომლები უმოწყალოდ ცემდნენ და გაუპატიურებისა თუ ახლობლისთვის ნარკოტიკების ჩადების მუქარით დანაშაულის აღიარებას აიძულებდნენ. ოთხივე დაკავებულს დროებითი მოთავსების იზოლატორში მიღების დროს სხეულზე აღენიშნებოდა მრავლობითი დაზიანებები; სამი მათგანი სამოქალაქო კლინიკაში გადაიყვანეს; რამდენჯერმე საჭირო გახდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება.

3. სახალხო დამცველის საერთაშორისო ვიზიტები და შეხვედრები

3.1. შეხვედრა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის, სამხრეთ კავკასიის საქმიანობის სადამკვირვებლო მისიის წევრებთან

2 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის სამხრეთ კავკასიის საქმიანობის სადამკვირვებლო მისიის წევრებს შეხვდა და ინფორმაცია მიაწოდა საქართველოში დევნილთა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირების უფლებრივი მდგომარეობის შესახებ.



მისიის წარმომადგენლები დაინტერესდნენ სახელმწიფო სტრატეგიის დეტალებით და გაეროს უმაღლესი კომისრის ჩართულობის საჭიროებით ამ საკითხში. საუბარი შეეხო მოწყვლადი ჯგუფების ინფორმირებულობის საკითხსა და მათ წვდომას არსებულ სერვისებზე. სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ დევნილთა პრობლემების გრძელვადიანი გადაჭრის მიზნით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაიწყოს მუშაობა დევნილთა შესახებ ახალი კანონის დახვეწაზე, რათა მოხდეს ე.წ. „საჭიროებებზე მორგებულ მიდგომაზე“ გადასვლა.

უჩა ნანუაშვილმა დადებითად შეაფასა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მხარდაჭერა სახალხო დამცველის აპარატისადმი, რომელიც ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის ეფექტურად განხორციელებაზეა ორიენტირებული და ამ თანამშრომლობის გაგრძელების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

3.2. შეხვედრა საქართველო–ევროკავშირის საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის წევრებთან

2 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველო–ევროკავშირის საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის წევრებთან შეხვედრაზე საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით არსებული მდგომარეობა, გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებები და დევნილთა უფლებრივი მდგომარეობა განიხილა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა საკითხების განხილვას და სახალხო დამცველის როლს ამ პროცესში. სხვა საკითხებთან ერთად ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის იმპლემენტაციის მდგომარეობა და საკანონმდებლო ხარვეზებიც განიხილეს.

3.3. შეხვედრა ეუთოს წევრი ქვეყნების მუდმივ წარმომადგენლებთან

3 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველი ეუთო-ში აშშ-ს, კანადის, ლიტვის, რუმინეთისა და შვედეთის მუდმივ წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე მოკლედ მიმოიხილეს საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობა, სასამართლოში, პროკურატურაში, სამართალდამცავ სტრუქტურებსა და პენიტენციურ სისტემაში მიმდინარე რეფორმები.

სახალხო დამცველმა ხაზი გაუსვა აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში ადამიანის უფლებების მონიტორინგის მექანიზმის ამუშავებისა საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობის აუცილებლობას. ასევე, ისაუბრა კონფლიქტურ ტერიტორიებზე მცხოვრებთა გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის, განათლების უფლების დარღვევასა და სხვა საკითხებზე.

3.4. შეხვედრა გაეროს სპეციალურ მომხსენებელთან

9 ნოემბერს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალურ მომხსენებელ დუბრავკა სიმონოვიჩს შეხვდა და ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მიმართულებით ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, ქალთა მკვლელობების შემაშფოთებელი მასშტაბები, ასევე ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ღონისძიებების განხორციელების გამოწვევები განიხილა.

გაეროს სპეციალური მომხსენებლის შეფასებით საქართველოში არაერთი პოზიტიური ნაბიჯი გადაიდგა ქალთა მიმართ ძალადობის აღმოსაფხვრელად, თუმცა კვლავ რჩება ხარვეზები და იგი მზად არის კონკრეტული რეკომენდაციები მიაწოდოს საქართველოს მთავრობას.

3.5. შეხვედრა ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისართან

9 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარს ნილს მუჟნიეკსის შეხვდა და თავისი პოზიცია გააცნო „ტელეკომპანია რუსთავი–2–ის“ ირგვლივ განვითარებული მოვლენების, ტელეკომპანიის საკითხზე მიმდინარე სასამართლო განხილვების, მართლმსაჯულების სისტემასა და მედიათავისუფლების თვალსაზრისით ქვეყანაში არსებული ვითარების შესახებ.

შეხვედრაზე ასევე ისაუბრეს გამყოფ ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებებზე, ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის იმპლემენტაციის პროცესზე, საკანონმდებლო ხარვეზებზე და ამ ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით პარლამენტში ინიცირებულ კანონპროექტზე, განიხილეს პატიმართა უფლებრივი მდგომარეობა.

აღინიშნა, რომ მრავალ სხვა გამოწვევათა შორის არის იუსტიციის უმაღლეს საბჭოში წარდგენილი სახალხო დამცველის რეკომენდაციების უგულებელყოფა; პროკურატურისა და სამართალდამცავი სტრუქტურების მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების ფაქტები და მათი გამოძიების ხარვეზები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს დამოუკიდებელი, ეფექტური და ანგარიშვალდებული გამოძიების მექანიზმის შექმნის შესახებ სახალხო დამცველის კატეგორიულ მოთხოვნის მართებულობას.

4. სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშები

4.1. განათლების უფლება გალის რაიონში: 2015-2016 სასწავლო წლის სიახლეები და თანმდევი პრობლემები

4 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა წარადგინა სპეციალური ანგარიში „განათლების უფლება გალის რაიონში: 2015-2016 სასწავლო წლის სიახლეები და თანმდევი პრობლემები“, რომელშიც აფხაზეთის დე ფაქტო ადმინისტრაციის გადაწყვეტილების თანახმად, გალის რაიონის ყველა დაწყებით კლასებში ქართულის ნაცვლად, რუსულ ენაზე სწავლებისა და სასწავლო პროცესიდან ქართული ენის სრულიად განდევნის საკითხზეა საუბარი.

სახალხო დამცველის სპეციალურ ანგარიშში დეტალურადაა აღწერილი 1995 წლიდან დღემდე გალის მკვიდრთა მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების და განათლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვის, დისკრიმინაციისა და ბავშვებზე ძალადობის ფაქტები და წარმოდგენილია შესაბამისი სამართლებრივი შეფასება. ანგარიშში ასევე ასახულია ის ღონისძიებები, რომლებიც სახალხო დამცველს აუცილებლად მიაჩნია ადგილობრივ მკვიდრთა უფლებების დასაცავად.

4.2. პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალური ანგარიში მოთხოვნის/საჩივრის განხილვის მექანიზმი საქართველოს პენიტენციურ სისტემაში

19 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა საქართველოს პენიტენციურ სისტემაში მოთხოვნის/საჩივრის განხილვის მექანიზმის შესახებ პრევენციის ეროვნული მექანიზმის სპეციალური ანგარიში წარმოადგინა.

კვლევის ფარგლებში, რომელიც სოციოლოგიურ და სამართლებრივ კომპონენტებს მოიცავს, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა 14 პენიტენციურ დაწესებულებაში, წინასწარ შემუშავებული კითხვარების გამოყენებით პატიმრების გამოკითხვა ჩაატარა; შემდეგ კი საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში გააანალიზა საჩივართა/მოთხოვნათა განხილვის პროცედურის და შიდა მონიტორინგის მარეგულირებელი ნორმატიული ბაზა, ასევე მოთხოვნაზე/საჩივარზე სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს რეაგირების პრაქტიკა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში მოთხოვნის/საჩივრის წარსადგენად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები ზოგადად ხელმისაწვდომია, თუმცა დაბალია პატიმართა ინფორმირებულობის დონე პროცედურის შესახებ; საჩივრის წარდგენისას

ირღვევა კონფიდენციალურობის პრინციპი; ხშირ შემთხვევაში არ ხდება საჩივარში მითითებული საკითხების სრულყოფილად შესწავლა და მიღებული გადაწყვეტილება არ არის სათანადოდ დასაბუთებული. არადამაკმაყოფილებელია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საქმიანობა.

ანგარიში შეიცავს სახალხო დამცველის არა–ერთ კონკრეტულ რეკომენდაციას ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. ასეთი ხასიათის კვლევა საქართველოში პირველად განხორციელდა და იგი ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

5. სახალხო დამცველის აპარატის საქმიანობა

5.1. ტრენინგი მშობლებისათვის ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხებზე

31 ოქტომბერს, 7 და 14 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა სოფელ კაბალის, იორმუღანლოსა და ყარაჯალის მოსახლეობასთან ადრეულ ასაკში ქორწინების თემაზე სამი ტრენინგი ჩაატარა. თითოეულ ტრენინგს ოცამდე ადგილობრივი მოსახლე (ცოლ–ქმარი) და პედაგოგები ესწრებოდნენ.

ტრენინგებზე განიხილეს ადრეულ ასაკში ქორწინების მიზეზები, არსებული პრაქტიკა და მისი გადაჭრის გზები. სამივე თემის წარმომადგენლებმა სხვადასხვა მიმართულებით ისაუბრეს. კაბალის მოსახლეობა აღნიშნავდა გოგონების მოტაცების დამკვიდრებულ მავნე პრაქტიკას, დამსწრეებმა გოგონების სწავლის შეწყვეტის მიზეზად მათი მოტაცების საფრთხე დაასახელეს. იორმუღანლოს თემის წარმომადგენლებმა ე.წ დანიშვნის წესზე ისაუბრეს, რომელსაც, როგორც ირკვევა, ძალიან ხშირი ხასიათი აქვს. მათი თქმით მე-7, მე-8 კლასში თითქმის ყველა გოგონა დანიშნულია, თუმცა ქორწინება 16 წლამდე არ ხდება. ყარაჯალას მაცხოვრებელთა თქმით, მშობლები ძალიან ხშირად თავად არიან ბავშვების დაქორწინების ინიციატორები, ასე ერთგვარად ზრუნავენ მათ მომავალზე, რომ აარიდონ ისინი არასასურველ ურთიერთობებს მომავალში.

ტრენინგები არასამთავრობო ორგანიზაცია „ვეჟინის“ ორგანიზებით გაიმართა, პროექტის აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) ACCESS-ის პროექტის „ადრეული ქორწინება – გაუცნობიერებელი პასუხისმგებლობა“ ფარგლებში, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით.

5.2. საქართველოს სახალხო დამცველმა საქართველოს მთავარ პროკურატურას გამოძიების დაწყების მოთხოვნით მიმართა

24 და 29 ოქტომბერს და 2 ნოემბერს უკრაინულმა საიტებმა საქართველოს ექს–პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის „რუსთავი 2“–ის გენერალურ დირექტორთან ნიკა გვარამიასთან, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საერთაშორისო მდივნთან გიგა ბოკერიასთან და მომღერალ სოფო ნიჟარაძესთან საუბრების ფარული აუდიოჩანაწერები გაავრცელეს.

საქართველოს სახალხო დამცველის მოსაზრებით, არ შეიძლება უგულებელყოფილ იქნას საზოგადოების მაღალი ინტერესი, საქართველოს სამართალდამცავ უწყებათა მიერ ჩანაწერების მოპოვების კანონიერების დადგენისა და მათ მიერვე, ამ ჩანაწერების შესაძლო გასაჯაროების ეჭვების გამოსარიცხად. ამ დრომდე საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციიდან გაურკვეველია, წარმოადგენს თუ არა მედიით გავრცელებული კადრები საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ოპერატიული თუ ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას.

საქართველოს სახალხო დამცველმა მოუწოდა საქართველოს მთავარ პროკურატურას, დამოუკიდებელი გამოძიების ფარგლებში მოხდეს აღნიშნული აუდიოჩანაწერების მოპოვების კანონიერებისა და გავრცელების შესწავლა, რათა უზრუნველყოფილ იქნას საქართველოს კონსტიტუციითა და სისხლის სამართლის კანონმდებლობით დადგენილი პრინციპების აღსრულება.

5.3. გაცნობითი ვიზიტი ევროსაბჭოს სხვადასხვა უწყებაში

2-6 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები სტრასბურგში ევროსაბჭოს სხვადასხვა უწყების ფუნქციონირების მექანიზმებსა და კონკრეტულ საქმიანობებს გაეცნენ.

ევროსაბჭოში გამართულ შეხვედრებზე ისაუბრეს ეროვნულ დონეზე ადამიანის უფლებების შესახებ ევროკონვენციის სტანდარტების დამკვიდრე-

ბასა და რეალიზებაზე, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ევროსაბჭოს ფარგლებში არსებულ მექანიზმებზე, დისკრიმინაციასთან, რასიზმთან, ქსენოფობიასთან და ანტისემიტიზმთან ეფექტური ბრძოლისთვის წევრი სახელმწიფოების მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ევროსაბჭოს სტანდარტებთან შესაბამისობაზე. ფართოდ მიმოიხილეს ძალადობის აღმოფხვრისა და მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციის, აგრეთვე სტამბულის კონვენციის სხვა საკითხები.

ევროსაბჭოს სხვადასხვა სტრუქტურების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სახალხო დამცველის აპარატის ანგარიშები მათთვის ინფორმაციის ღირებულ წყაროს წარმოადგენს და უფრო მჭიდრო თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გამართულ შეხვედრებზე ისაუბრეს საქართველოსთან დაკავშირებულ საქმეებზე; აღსრულების მექანიზმებზე და აღსრულების პროცესში წევრი-სახელმწიფოების ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული ინსტიტუტების ჩართულობის მნიშვნელობაზე. ჯგუფის წევრები ასევე, დაესწრნენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის მოსმენას ერთ–ერთ საქმეზე.

ვიზიტს ორგანიზაციული მხარდაჭერა გაუწია ევროსაბჭოს პროექტმა „საქართველოს სახალხო დამცველის ოფისის ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გაუმჯობესება“.

5.4. რიგმა უწყებებმა საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია არ გაითვალისწინეს

4 ნოემბერი. საქართველოს პრემიერ–მინისტრის აპარატმა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ არ გაიზიარეს საქართველოს სახალხო დამცველის რეკომენდაცია დევნილთათვის პრივატიზაციის პროცესის კანონის ფარგლებში წარმართვისა და არასრულწლოვანთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე.

დევნილის სტატუსის მქონე არასრულწლოვნები მშობლების განქორწინების შემდეგ დედასთან ცხოვრობენ. ბავშვების ბაბუას დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, სახელმწიფომ პირდაპირი მიყიდვის წესით, კერძო საკუთრებაში გადასცა მის სარგებლობაში არსებული საცხოვრებელი ფართი. ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, მყიდველს ბავშვების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა დაეკისრა. აღნიშნულის შესახებ ბავშვების დედა ინფორმირებული არ ყოფილა და არც ბაბუამ უზრუნველყო ისინი საცხოვრებელი ადგილით.

5.5. სამუშაო შეხვედრები რელიგიურ და ეროვნულ უმცირესობათა საბჭოებთან

საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა, სახალხო დამცველის მოადგილეებმა პაატა ბელთაძემ და ნათია კაციტაძემ, ტოლერანტობის ცენტრისა და სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა სამუშაო შეხვედრა გამართეს **3 ნოემბერს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა საბჭოს წევრებთან,** ხოლო **5 ნოემბერს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს წევრებთან.**

შეხვედრებზე განიხილეს სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა და ეროვნულ უმცირესობათა საბჭოების სამომავლო გეგმები, სახალხო დამცველის აპარატთან შემდგომი თანამშრომლობის დეტალები, უფლებამოსილებები და სამუშაო შესაძლებლობები. ისაუბრეს სხვადასხვა უწყებებთან თანამშრომლობის საკითხებზე და ქვეყანაში ტოლერანტული კულტურის დამკვიდრებისა და სამოქალაქო განათლების დონის ასამაღლებლად ჩასატარებელ სამუშაოზე. ასევე, განიხილეს განათლების, კულტურული მემკვიდრეობის და ზოგადად უფლებების დაცვის სფეროში არსებული ისეთი საკითხები, რომლებიც დღესდღეობით ყველაზე მეტად აწუხებთ საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობებს.

5.6. ადამიანის უფლებათა აკადემიის ტრენინგი ჟურნალისტებისთვის

3–8 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ადამიანის უფლებათა აკადემიის ფარგლებში მეორე ტრენინგი გაიმართა, რომელზეც ადგილობრივმა და საერთაშორისო ექსპერტებმა რეგიონული მედიასაშუალებების წარმომადგენლებთან „გენდერული საკითხების გაშუქებისა და ჟურნალისტური ეთიკის“ შესახებ ისაუბრეს.

აკადემიის მონაწილეებს საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილე პაატა ბელთაძე მიესალმა და გენდერული უთანასწორობისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის, ასევე, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და თანასწორუფლებიანობის იდეის დამკვიდრების პროცესში მედიასაშუალებების უმნიშვნელოვანეს როლზე ისაუბრა.

მონაწილეები გაეცნენ გენდერული საკითხების გაშუქების სტანდარტებს, საერთაშორისო პრაქ-

ტიკას გენდერული საკითხების მგრძნობიარე გაშუქების მიმართულებით, გაიღრმავეს ცოდნა გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების შესახებ.

5.7. სახალხო დამცველის საგანგებო განცხადება ტელეკომპანია „რუსთავი 2"-ში დროებითი მმართველების დანიშვნასთან დაკავშირებით

5 ნოემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო განჩინება, რომლის მიხედვით „რუსთავი 2"–ში დროებითი მმართველები დაინიშნა. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საქართველოს სასამართლოების პრაქტიკაში გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიებად დროებითი მმართველის დანიშვნის შესახებ დღემდე არაფერია ცნობილი და არც სასამართლო განჩინებაშია საკმარისი დასაბუთება, რა ახალ, დამატებით გარანტიებს ქმნის მოსარჩელის ინტერესების დაცვისათვის, დროებითი მმართველების დანიშვნა.

ერთადერთი და განსხვავებული მიზეზი განჩინებაში არხის სარედაქციო პოლიტიკაა, როგორ უნდა იმაუწყებლოს არხმა და რა სახის სიუჟეტების მომზადება არის მნიშვნელოვანი საზოგადოების ინტერესების დასაცავად. განჩინების ამ ნაწილს სახალხო დამცველი აფასებს, როგორც სასამართლო ხელისუფლების მხრიდან სიტყვის და გამოხატვის თავისუფლებაში პირდაპირ ჩარევას და თვლის, რომ სასამართლოს განხილვის საგანი არ შეიძლება გახდეს – რა ფორმით გააგრძელოს მაუწყებლობა „რუსთავი 2-მა".

„სამწუხაროდ, 5 ნოემბრის გადაწყვეტილება ეჭვქვეშ აყენებს არა მხოლოდ ერთი კონკრეტული მოსამართლის მიუკერძოებლობას, არამედ ავლენს თავად სასამართლო სისტემაში არსებულ სერიოზულ პრობლემებს", – განაცხადა სახალხო დამცველმა.

5.8. ზოგადი წინადადება შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" შშმ პირთა სპეციალური საჭიროებების შესახებ

6 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა დისკრიმინაციის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხზე ზოგადი წინადადებით მიმართა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას" – ჩაუტარდეთ საგანმანათლებლო ტრენინგები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სპეციალური საჭიროებების შესახებ იმ თანამშრომლებს, რომელთაც უშუალო შეხება აქვთ მგზავრებთან; კომპანიამ შეიმუშაოს მგზავრთა გადაყვანის მოქნილი გრაფიკი, სადაც გათვალისწინებული იქნება სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის მომსახურების გაწევისას სტანდარტული გრაფიკის იმგვარი ცვლილება, რომ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი გახდეს დამატებითი დროის გამოყოფა უსაფრთხო და კომფორტული მგზავრობის უზრუნველსაყოფად. ამასთან, სახალხო დამცველმა მზადყოფნა გამოთქვა დაეხმაროს თბილისის სატრანსპორტო კომპანიას ტრენინგების ჩატარებაში. აღნიშნული ღონისძიება ხელს შეუწყობს ქვეყანაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ტოლერანტული და თანასწორი გარემოს ჩამოყალიბებას და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლას.

5.9. შეხვედრა სტუდენტებთან ქალთა უფლებებსა და გენდერული თანასწორობის საკითხებზე

9 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენელი ანა ლობჟანიძე საერთაშორისო ტრეინინგის მონაწილეებს შეხვდა და გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით საქართველოში არსებულ გამოწვევებზე და საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე ესაუბრა.

მოხსენების შემდეგ გაიმართა დისკუსია ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის, ოჯახში ძალადობის, ადრეულ ასაკში ქორწინებისა და გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის საკითხებთან დაკავშირებით. შეხვედრას რვა ქვეყნის 25 მონაწილე ესწრებოდა.

5.10. შეხვედრა შვედური ფონდის „ქალები ქალებისთვის" გენერალურ მდივანთან

9 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენელი ანა ლობჟანიძე შვედური ფონდის „ქალები ქალებისთვის" გენერალურ მდივანს ლენა აგს შეხვდა და მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში ქალთა მონაწილეობა და ადგილობრივი ინიციატივები განიხილა; ისაუბრა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების

განხორციელებაზე, 2012–2015 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმით დაგეგმილ და განხორციელებულ აქტივობებზე; გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის საქმიანობის სხვა მიმართულებებზე.

5.11. გენდერული თანასწორობის საკითხებზე გამართული საერთაშორისო კონფერენცია

10 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველი დაესწრო მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენციას „გენდერული თანასწორობისკენ - გამოწვევები და შესაძლებლობები ევროპული სამეზობლო პოლიტიკის რეგიონში“ და მოხსენება წარადგინა ადრეულ ასაკში ქორწინებისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე.

მოხსენება „ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ“ ევროპის საბჭოს 2011 წლის კონვენციის საქართველოში განხორციელების მნიშვნელობასა და ადრეულ ასაკში ქორწინების მიმართულებით არსებულ გამოწვევებს შეეხო. „მაღალი რიცხობრივი მაჩვენებელი და ჩვენს მიერ შესწავლილი საქმეების მიმდინარეობა მიგვანიშნებს, რომ საქართველოში დღემდე არ არსებობს ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციის მიზნით შემუშავებული ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა და ამ მიმართულებით სხვადასხვა უწყებებს შორის საქმიანობის კოორდინირება საკმაოდ სუსტია“, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.

5.12. ამიკუს კურიე სამუშაო ადგილზე სავარაუდო დისკრიმინაციის ფაქტზე

10 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა, რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებლისა და გამგეობის წევრის სავარაუდო დისკრიმინაციასთან დაკავშირებით სასამართლო მეგობრის მოსაზრებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. სასამართლო მეგობრის მოსაზრებაში სახალხო დამცველმა საერთაშორისო სტანდარტები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი მიმოიხილა.

მოსარჩელის განცხადებით, რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამგეობის წევრს დ.ვ.–ს სამსახურებრივი დაწინაურების შემდეგ ხელმძღვანელობამ პროფესიულ კავშირში აქტივობის შეწყვეტა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში სამუშაო პოზიციის გაუქმებით დაემუქრნენ. დ.ვ.–მ მოთხოვნაზე უარი განაცხადა და 3 დღეში სამუშაოდ საცხოვრებელი ადგილიდან 150 კმ–ით დაშორებულ სადგურზე გადაიყვანეს და ხელფასიც შეუმცირეს. შრომითი პირობების არსებითი ცვლილების გამო დ.ვ. არ ცხადდებოდა ახალ სამუშაო ადგილას და სთხოვდა სს „საქართველოს რკინიგზას“, აეხსნათ გადაყვანის მიზეზები. საბოლოოდ, დ.ვ.- სამსახურიდან გაათავისუფლეს.

5.13. ტოლერანტობის საერთაშორისო დღე

13 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას უმასპინძლა. ღონისძიებას ესწრებოდნენ სახელმწიფო უწყებების, დიპლომატიური მისიების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის და რელიგიათა და ეთნიკურ უმცირესობათა საბჭოების წარმომადგენლები.

ღონისძიებაზე დამსწრეებს საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი და ამერიკის ელჩის მოადგილე საქართველოში ნიკოლას ბერლინერი მიესალმნენ. სახალხო დამცველმა ტოლერანტობის კუთხით ქვეყანაში არსებული მდგომარეობა მიმოიხილა და იმ საქმეებს გაუსვა ხაზი, რომლის გამოძიებაც წლებია ჭიანურდება.

„მიმდინარე წელს, გარკვეულწილად შემცირდა ინციდენტები, თუმცა რეალობაა, რომ ძველი საქმეები ბოლომდე გამოძიებული არ არის, და არც ინციდენტში მონაწილე მოძალადეები არი-

ან დასჯილნი. სიძულვილის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულისადმი სახელმწიფო უწყებები ხშირად იჩენენ გულგრილობას, რაც ყველაზე მეტად ახდენს გავლენას დისკრიმინაციისა და ძალადობის ფაქტების გამრავლებაზე." – განაცხადა სახალხო დამცველმა.

სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა და რელიგიათა საბჭოები ყოველწლიურად ირჩევენ ტოლერანტობის ქომაგებს, რომლებმაც მიმდინარე წლის განმავლობაში ხელი შეუწყვეს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვას და ტოლერანტობის კულტურის დამკვიდრებას.

წელს რელიგიათა საბჭოს მხრიდან დაჯილდოვდა: ნომინაციაში საჯარო მოხელე - საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი; ნომინაციაში პიროვნება - სოფელ ჭელას ბიბლიოთეკის თანამშრომელი ფრიდონ აბაშიძე; ნომინაციაში ორგანიზაცია - თავისუფალი უნივერსიტეტი; ნომინაციაში მედია საშუალება - „სტუდია რეს" ტელედისკუსიათა ციკლი.

ეროვნულ უმცირესობათა საბჭომ დააჯილდოვა: ნომინაციაში საჯარო მოხელე - საკრებულოს წევრი, ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი რამინა (რიმა) ბერაძე; ნომინაციაში პიროვნება პარლამენტის ყოფილი დეპუტატი და ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს ყოფილი წევრი თამაზ ავდალიანი; ნომინაციაში ორგანიზაცია - მირზა-ფათალი ახუნდოვის სახელობის აზერბაიჯანული კულტურის თეატრი და კულტურის ცენტრი; ნომინაციაში მედია საშუალება - საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „ვრასტანი".

გამარჯვებულებს საპატიო ჯილდოები და სიგელები გადასცეს.

5.14. აშშ–საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის დემოკრატიის ჯგუფის შეხვედრა

12 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ პაატა ბელთაძემ მონაწილეობა მიიღო აშშ–საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის ფარგლებში დემოკრატიისა და მმართველობის სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში. შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა, კანონის უზენაესობისა და მმართველობის, ასევე დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების საკითხები განიხილეს.

სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებს საქართველოში არსებული ვითარების რამდენიმე ასპექტი გააცნო; ხაზი გაუსვა ქვეყანაში მედიის თავისუფლების კუთხით არსებულ ვითარებას; ვრცლად ისაუბრა ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის იმპლემენტაციის პროცესზე, საკანონმდებლო ხარვეზებსა და ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად პარლამენტში ინიცირებულ კანონპროექტზე; დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმისა და შრომის ინსპექციის შექმნის აუცილებლობაზე.

5.15. საერთაშორისო ტრენინგი „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება"

13–27 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომელი ანა ლობჟანიძე, სამხრეთ აფრიკაში, კეიპტაუნში გამართული საერთაშორისო ტრენინგის მეორე ეტაპს დაესწრო თემაზე – „გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325: ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე". ტრენინგის მიზანი იყო ქალების მონაწილეობის გაზრდა მშვიდობის მშენებლობის საკითხებზე მუშაობისას და ქალების განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინების აღნიშვნა კონფლიქტურ და პოსტ-კონფლიქტურ ქვეყნებში.

ღონისძიება შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს და შვედური ფონდის „ქალები ქალებისთვის" ორგანიზებით ჩატარდა.

5.16. სახალხო დამცველმა გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის წევრები შეარჩია

16 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა, კონკურსის შედეგების საფუძველზე გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფი შეარჩია.

მონიტორინგის ჯგუფის ძირითადი მოვალეობაა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებთან ერთად, გეგმიურ და საჭიროებიდან გამომდინარე, არაგეგმიურ მონიტორინგის მისიებში (ვიზიტებში) მონაწილეობა – შემოწმების ჩატარება და ანგარიშგება. ასევე, კონკრეტულ თემატიკაზე ანალიზის/კვლევების განხორციელება.

5.17. ოზურგეთში სახალხო დამცველის ოფისი გაიხსნა

16 ნოემბერს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა რეგიონული საქმიანობის გაძლიერების მიზნით ოზურგეთში რიგით მერვე ოფისი გახსნა. გურიის რეგიონში ოფისს მაკა მალაყმაძე ხელმძღვანელობს.

5.18. სახალხო დამცველის აპარატის ადამიანის უფლებათა აკადემიის ტრენინგი სამხედრო მოსამსახურეებისათვის

16-20 ნოემბერს სახალხო დამცველის აპარატის ადამიანის უფლებათა აკადემიის ფარგლებში რიგით მესამე ტრენინგი გაიმართა საშუალო რგოლის სამხედრო მოსამსახურეებისათვის და სამხედრო ნაწილების იურისტებისათვის, თემაზე „ადამიანის უფლებები სამხედრო სამსახურში“.

ქართველმა და უცხოელმა ექსპერტებმა განიხილეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი და მისი კავშირი სამხედრო სამსახურთან, დისციპლინა და ადამიანის უფლებები შეიარაღებულ ძალებში, უკანონო ბრძანებები და მათი შედეგები, პასუხისმგებლობა და კეთილსინდისიერება, ქალი ჯარში, თავდაცვის სისტემის დემოკრატიული კონტროლი და სხვა აქტუალური საკითხები.

ღონისძიების მონაწილეებს სახალხო დამცველის აპარატის თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის უფროსმა თამარ გაბიანმა და საერთაშორისო ურთიერთობებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტის უფროსმა ნიკო თათულაშვილმა სერტიფიკატები გადასცეს.

5.19. სახალხო დამცველისა და ბულგარეთის რესპუბლიკის საელჩოს ერთობლივი პროექტის ანგარიში

17 ნოემბერს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა და ბულგარეთის რესპუბლიკის საელჩოს წარმომადგენელმა იასენ ტომოვმა ზუგდიდის ადგილობრივი თვითმართველობის და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს სამეგრელო ზემო სვანეთის რეგიონში მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობისა და კანონის უზენაესობის კუთხით ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული პროექტის შედეგები გააცნეს.

პროექტის ფარგლებში სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებს 18 გასვლითი შეხვედრა ჰქონდათ სამეგრელო ზემო სვანეთის მოსახლეობასთან; გაიმართა მრგვალი მაგიდა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან; ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით აქტუალურ თემებზე ჩატარდა ტრენინგები სტუდენტებისა და ჟურნალისტებისთვის.

5.20. სახალხო დამცველი სამეგრელოს მოსახლეობას შეხვდა

17–18 ნოემბერს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი სამეგრელოში სოფლების ანაკლიის, რუხისა და ონარიის მოსახლეობას შეხვდა. სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას ძირითადად გაუმართავი ინფრასტრუქტურა, საკუთრების უფლების სავარაუდო დარღვევა და სოციალური პრობლემები აწუხებს.

ანაკლიის მოსახლეობის უმრავლესობა აცხადებს, რომ ინფრასტრუქტურული პროექტების გამო მიწების დათმობის სანაცვლოდ კომპენსაცია არ მიუღიათ; ზღვაზე შეჩერებულია ნაპირსამაგრი სამუშაოები; გართულებულია თევზაობის ნებართვის აღება.

საკონტროლო გამშვებ პუნქტებს შორის 2008 წლის ომის შემდეგ აღარ მოძრაობს ავტობუსი და სამეგრელოში მომუშავე აფხაზეთის მცხოვრებლები ყოველდღიურად, კილომეტრებს გადიან ფეხით; ამორტიზებულია 800 მეტრიანი დამაკავშირებელი ხიდი.

სოფელ რუხში ამორტიზებულია ამბულატორია და კულტურის სახლი; საჯარო სკოლა, თანხის უქონლობის გამო სპორტული და სააქტო დარბაზის გარეშეა დარჩენილი.

სახალხო დამცველის რეკომენდაციის შესაბამისად, სოფელ ონარიას დაფინანსება გაეზარდა და გარკვეული ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს. განახლდა საცხოვრებელი სახლების მნიშვნელოვანი ნაწილის სახურავები და გამაგრდა ამორტიზებული სახლები; შეიცვალა წყლის სისტემები და იწყება გზის მშენებლობა.

სახალხო დამცველი სამეგრელოს სოფლებში მიმდინარე საკითხებს შეისწავლის და შესაბამისი რეკომენდაციით მიმართავს როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ ხელისუფლებას.

5.21. ტრენინგი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის შესახებ

18–19 ნოემბერს საერთაშორისო ორგანიზაცია საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით, ამერიკის შეერთებული შტატების განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი თემაზე „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია და მონიტორინგის ანგარიში", რომელსაც საერთაშორისო ექსპერტი ენნ ჰეისი უძღვებოდა.

ტრენინგი ჩატარდა საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული შშმ პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს, კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის ჯგუფის და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებისთვის; ასევე, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს თანამშრომლებისთვის.



საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) წარმომადგენელმა ნერმინ ნიშიჩმა და საქართველოს სახალხო დამცველის პირველმა მოადგილემ პაატა ბელთაძემ ისაუბრეს კონვენციის პოპულარიზაციისა და მისი მონიტორინგის ეფექტიანი განხორციელების მნიშვნელობაზე და აღნიშნეს, რომ ტრენინგი ხელს შეუწყობს აღნიშნულ პროცესს. ხაზი გაუსვეს სახალხო დამცველისა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) ურთიერთთანამშრომლობის დადებით ასპექტს.

ტრენინგის მონაწილეებმა ექსპერტის ჩართულობით კონვენციის იმპლემენტაციის მონიტორინგის გეგმის პროექტი შეიმუშავეს.

5.22. სექსუალური შევიწროების პრევენციის საკითხებზე სახალხო დამცველის პრაქტიკის გაზიარება

20 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის უფროსი ეკატერინე სხილაძე გაეროს ქალთა ორგანიზაციის ანგარიშის „მსოფლიოს ქალთა პროგრესი 2015-2016 – ეკონომიკის ტრანსფორმაცია, უფლებების განხორციელება" პრეზენტაციას დაესწრო და სექსუალური შევიწროების პრევენციის საკითხებზე მოხსენება წარადგინა. დისკუსიაზე კი ქვეყანაში არსებული მდგომარეობისა და სახალხო დამცველის პრაქტიკის შესახებ ისაუბრა.

5.23. რეგულარული დიალოგი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან

20 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან მორიგი შეხვედრა მოაწყო.

ღონისძიებაზე უჩა ნანუაშვილმა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მიმდინარე სიახლეებზე – ადამიანის უფლებათა აკადემიის გახ-

სნასა და ცხელი ხაზის ამოქმედებაზე ისაუბრა და მოკლედ მიმოიხილა ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით ქვეყანაში არსებული მდგომარეობა.

სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლებმა ბოლო პერიოდში გამოცემული სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიშები წარმოადგინეს; ასევე, ისაუბრეს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის ფარგლებში დიპლომატიურ კორპუსთან მჭიდრო თანამშრომლობის ინიციატივაზე.

5.24. მრგვალი მაგიდა გიორგი უგულავას საქმეზე საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილების შესახებ

20 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა გამართა მრგვალი მაგიდა თემაზე: საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილების, „გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, იმპლემენტაცია საერთო სასამართლოების პრაქტიკაში. ღონისძიებას ესწრებოდნენ საერთო სასამართლოების მოსამართლეები, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ 2015 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილებით დაადგინა კონკრეტული წინაპირობები, რომლითაც განამტკიცებს სახელმწიფოს მიერ თავისუფლების შეზღუდვის დასაბუთების და უკიდურესი საჭიროების ვალდებულებას. სახალხო დამცველის მოადგილემ ნათია კაციტაძემ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების კონსტიტუციურ პრინციპთან შესაბამისი სასამართლო პრაქტიკის დანერგვის აუცილებლობის მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის მიერ გაცემული რეკომენდაცია განიხილა.

დისკუსიამ ცხადყო, რომ არ არსებობდა ერთიანი ხედვა, თუ რა მიდგომა ჩაითვლება საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილების სრულყოფილ იმპლემენტაციად. შესაბამისად, სახალხო დამცველის აზრით, ამ საკითხზე მსჯელობის გაგრძელება თავად საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა ჩართულობით აუცილებელია.

5.25. მრგვალი მაგიდა მინდობით აღზრდისა და რეინტეგრაციის სახელმწიფო ქვეპროგრამების მონიტორინგის შესახებ

20 ნოემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ ბავშვის უფლებების კონვენციის მიღების დღეს, სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრმა ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის მრგვალი მაგიდა გამართა თემაზე „მინდობით აღზრდისა და რეინტეგრაციის ქვეპროგრამების მონიტორინგის პირველადი შედეგები და არასამთავრობო სექტორის გამოცდილება“.

შეხვედრაზე სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის უფროსმა მაია გედევანიშვილმა ზოგადად მიმოიხილა პროექტის მიზნები და განხორციელების მექანიზმები; გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელმა და პროექტის კოორდინატორმა ჯაბა ნაჭყებიამ ქვეპროგრამების იმპლემენტაციის შესახებ UNICEF–ის პოზიციაზე ისაუბრა; პროექტის თანამშრომლებმა მარიამ ჯანიაშვილმა და მარიამ ბოჭორიშვილმა მონიტორინგის პირველადი შედეგები განიხილეს; პროექტის კონსულტანტმა ია შეყრილაძემ წარადგინა კვლევა – „რეინტეგრირებული ოჯახების საჭიროებების შეფასება“.

ისაუბრეს ბენეფიციარების უფლებების რეალიზაციის პრობლემებზე, სახელმწიფო და თვითმმართველობის სერვისების დანერგვის მიზნობრიობისა და ეფექტიანობის საკითხებზე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობაზე. განიხილეს სახალხო დამცველის აპარატის ზოგადი რეკომენდაციები.

გაიმართა დისკუსია დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის, მინდობით აღზრდისა და რეინტეგრაციის სახელმწიფო ქვეპროგრამების ძირითადი საკანონმდებლო რეგულაციებისა და მათი პრაქტიკაში იმპლემენტაციის პრობლემების შესახებ.

ღონისძიება გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის – „სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის გაძლიერება“ ფარგლებში გაიმართა.

5.26. სახალხო დამცველმა ე.წ. „ქუჩის ნარკოტესტირების“ კანონიერებასთან დაკავშირებით კონსტიტუციური სარჩელი წარადგინა

20 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველმა საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა სარჩელით, რომლითაც გაასაჩივრა ე.წ. „ქუჩის ნარკოტესტირების“ მთლიანი პროცედურა, პირის წარდგენიდან, მის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ სასამართლო დადგენილების გამოტანის ეტაპამდე.

საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული საკანონმდებლო ნორმები ზღუდავს ადამიანის პირად თავისუფლებას თანაც ისე, რომ თავისუფლება შეზღუდული პირი ვერ სარგებლობს კონსტიტუციის მე-18 მუხლით გათვალისწინებული პროცესუალური გარანტიებით.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირი დაამტკიცებს რომ იგი უკანონოდ იქნა დაკავებული, დაკავების საფუძველზე განხორციელებული ნარკოლოგიური გამოკვლევა არ იქნება ცნობილი უკანონოდ. შესაბამისად, პირს არ გააჩნია უფლება, მის მიმართ განხორციელებული თავისუფლების შეზღუდვის და მის წინააღმდეგ მტკიცებულებების მოპოვების პროცესი დაუქვემდებაროს ეფექტურ სასამართლო განხილვას.

სადავო ნორმებით პირს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრება, თუ ლაბორატორიული გამოკვლევებით დასტურდება მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი. საქართველოს სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ნარკოტიკული საშუალების მოხმარება არის იურიდიული ფაქტი და არა კლინიკური შემთხვევა, რომლის არსებობა უნდა დაადგინოს სასამართლომ, ყოველი კონკრეტული საქმიდან გამომდინარე. სასამართლო არ უნდა იყოს შეზღუდული დადგენილი ფაქტის სამართალდარღვევად ცნობის ვალდებულებით.

5.27. საქართველოს სახალხო დამცველი იეჰოვას მოწმეთა სამეფო დარბაზის დაზიანების ფაქტს ეხმაურება

საქართველოს სახალხო დამცველმა დაგმო **23 ნოემბერს** იეჰოვას მოწმეთა სამეფო დარბაზის დაზიანების ფაქტი და მოუწოდა სამართალდამცავ ორგანოებს, აწარმოონ სწრაფი და ეფექტური გამოძიება ინციდენტში მონაწილე პირების გამოვლენისა და მათთვის შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომის დაკისრების მიზნით. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმის გამორკვევაზე, ხომ არ იყო აღნიშნული დანაშაული ჩადენილი რელიგიური სიძულვილის მოტივით.

***** უცნობმა პირებმა თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში მდებარე იეჰოვას მოწმეთა სამეფო დარბაზი დაცხრილეს. დაზიანებულია შენობის კედლები და ჩამსხვრეულია შუშები. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სხვისი ნივთის განზრახ დაზიანების მუხლით დაიწყო.

5.28. გაეროს ფორუმის მე-8 სხდომა

24-25 ნოემბერს სახალხო დამცველთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს აღმასრულებელმა მდივანმა იზაბელა ოსიპოვამ ჟენევაში გამართულ გაეროს ფორუმის მე-8 სხდომაში მიიღო მონაწილეობა. ღონისძიება ადამიანის უფლებათა საბჭოს პრეზიდენტმა იოახიმ რუკერმა, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის მოადგილემ ფლავია პანსიერიმ და გაეროს უმცირესობათა საკითხებში სპეციალურმა მომხსენებელმა რიტა იშაკმა გახსნეს.

ორდღიან შეხვედრაზე უმცირესობებთან მიმართებაში სისხლის სამართლის სისტემაში არსებული პრობლემები, დანაშაულებებზე რეაგირებისა და პრევენციის ახალი გადაწყვეტილებები განიხილეს.

ჟენევაში ვიზიტისას სახალხო დამცველის წარმომადგენელმა ასევე მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ორგანიზაციის „Minority Rights Group International“ და გაეროში ავსტრიის მუდმივი მისიის ღონისძიებაში „ბრძოლა დაუსჯელობასთან: უმცირესობებთან მიმართებაში ეფექტური მართლმსაჯულების სისტემის მოქმედების საჭიროება“.

5.29. საინფორმაციო შეხვედრები რეგიონებში

24-26 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელმა მერი კოჭლამაზაშვილმა საინფორმაციო შეხვედრები გამართა ზუგდიდში, ბათუმსა და ქუთაისში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და იძულებით გადაადგილებულ პირებთან – დევნილებთან.

შეხვედრები მიზნად ისახავდა, რეგიონებში იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა, სფეროში არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების განხილვას. შეხვედრებისას ისაუბრეს იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკაში არსებულ სიახლეებზე, რეგიონებში არსებულ პრობლემებზე, მათ გამომწვევ ფაქტორებსა და თანმდევ შედეგებზე.

შეხვედრები გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისა და საქართველოში ბრიტანეთის საელჩოს დაფინანსებით მოქმედი პროექტის, „სახალხო დამცველის აპარატის შესაძლებლობების გაძლიერება იძულებით გადაადგილებულ პირთა პრობლემების გადასაჭრელად“ ფარგლებში ჩატარდა.

5.30. კონფერენცია გენდერული თანასწორობის საკითხებზე

25 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტის წარმომადგენელმა მერი მაღლაფერიძემ მოხსენება წარადგინა გენდერული თანასწორობის საკითხებზე ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაციის კონფერენციაზე.

სახალხო დამცველის წარმომადგენელმა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის, ადრეულ ასაკში ქორწინების, ქალთა მკვლელობების, ქალთა შრომითი უფლებებისა და პოლიტიკური მონაწილეობის შესახებ ისაუბრა. ასევე, მიმოიხილა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ინიციატივები ქალთა უფლებრივი მდგომარეობისა და გენდერული თანასწორობის სფეროში.

5.31. ქალთა სამართლებრივი საჭიროებების შესახებ კვლევის პრეზენტაცია

27 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილე პაატა ბელთაძე გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „ქალები თანასწორობის, მშვიდობისა და განვითარებისთვის“ ფარგლებში, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ იძულებით გადაადგილებულ და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალთა სამართლებრივი საჭიროებების შესახებ ჩატარებული კვლევის პრეზენტაციას დაესწრო.

თავის მისასალმებელ სიტყვაში პაატა ბელთაძემ ქალთა მართლმსაჯულებისადმი ხელმისაწვდომობის მნიშვნელობისა და ამ პროცესებში მათი სამართლებრივი საჭიროებების შესახებ ისაუბრა. მან ასევე აღნიშნა, რომ ოჯახში ძალადობისა და ადრეული ქორწინების პრობლემის გაიგივება არასწორად ხდება ტრადიციებსა და რელიგიურ წეს–ჩვეულებებთან; და, რომ უთანასწორობის გამომწვევი ძირითადი მიზეზი უფლებების არ ცოდნა, ინფორმაციასა და სერვისებზე დაბალი ხელმისაწვდომობაა.

6. ღირსშესანიშნავი თარიღები

6.1. 19 ნოემბერს ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის საერთაშორისო დღე აღინიშნება

ბავშვის მიმართ ძალადობა უაღრესად მავნე გამოცდილებაა, რომელიც მოზარდის განვითარების ყველაზე დიდ შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს. თანამედროვე მსოფლიოსთან ერთად, ბავშვის მიმართ ძალადობა საქართველოშიც უმწვავეს პრობლემას წარმოადგენს.

საქართველოს სახალხო დამცველი მოუწოდებს პასუხისმგებელ სახელმწიფო სტრუქტურებს, უზრუნველყონ არასრულწლოვნების დაცვა ნებისმიერი სახის ძალადობისგან. ამასთან, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ბავშვის მიმართ ძალადობის დაძლევისა და პრევენციის საუკეთესო გზა საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ამ მიმართულებით კონკრეტული საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელებაა.

6.2. განცხადება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

25 ნოემბერი ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეა და მისი აღნიშვნის მიზანია ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.

მძიმეა ქალთა მიმართ ძალადობის მიმართულებით არსებული რეალობა; განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ქალთა მკვლელობების შემთხვევები. 2015 წლის პირველ ნახევარში, ქა-

ლთა მკვლელობისა და მკვლელობის მცდელობის ფაქტებზე გამოძიება 17 სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო. საიდანაც 9 შემთხვევა ოჯახში ძალადობის პირობებში იქნა ჩადენილი; ხოლო 3 შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა გენდერული ნიშნით განპირობებულ ძალადობას.

სამწუხაროა, რომ სახალხო დამცველის არაერთი რეკომენდაციისა და მოწოდების მიუხედავად, საქართველოში დღემდე არ არსებობს ადრეულ ასაკში ქორწინების პრევენციის მიზნით შემუშავებული ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა და ამ მიმართულებით სხვადასხვა უწყებებს შორის საქმიანობის კოორდინირებაც საკმაოდ სუსტია.

დაბოლოს, საქართველოს სახალხო დამცველი უერთდება ქალთა მიმართ ძალადობის, ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის – ქალბატონი დუბრავკა სიმონოვიჩის **23 ნოემბრის** მოწოდებას, ყველა სახელმწიფომ მიზანმიმართულად იმუშაოს გენდერული ნიშნით მოტივირებული ქალთა მკვლელობების პრევენციაზე და შექმნას გენდერული ნიშნით ქალთა მკვლელობებზე ზედამხედველობის სისტემა.

7. საერთაშორისო სიახლეები ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით

7.1. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ანგარიში

6 ნოემბერს გამოქვეყნდა გაეროს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის საკითხებზე სპეციალური მომხსენებლის ხუან მენდესის ანგარიში, რომელიც მან საქართველოში ვიზიტის შედეგად მოამზადა. გაეროს სპეციალური მომხსენებელი საქართველოში მიმდინარე წლის 12–19 მარტს იმყოფებოდა ვიზიტით, რომლის ფარგლებშიც მან შეხვედრები გამართა ხელისუფლების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ასევე საქართველოს სახალხო დამცველის პირველ მოადგილესთან.

თავის ანგარიშში სპეციალური მომხსენებელი აფასებს წამებისა და არასათანადო მოპყრობის საკითხებში ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას და რეკომენდაციებით მიმართავს საქართველოს ხელისუფლებას.

ანგარიშში სპეციალური მომხსენებელი აღნიშნავს პენიტენციურ სისტემაში განხორციელებული რეფორმების წარმატებას, თუმცა ხაზს უსვამს 2012 წლამდე ჩადენილი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების სათანადო გამოძიების და დამნაშავეთა დასჯის აუცილებლობას. ხუან მენდესი მიიჩნევს, რომ აღნიშნული დანაშაულების გამოძიებისა და დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მიცემის კუთხით საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული ზომები არასაკმარისია. შესაბამისად, სპეციალური მომხსენებელი ძლიერ მხარდაჭერას გამოხატავს ფართო უფლებამოსილების მქონე დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შექმნის იდეის მიმართ, რომელმაც უნდა გამოიძიოს წამების ფაქტები და უზრუნველყოს დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივი დევნა. ანგარიშის მიხედვით, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის მოდელზე მიმდინარე დისკუსიებში უზრუნველყოფილ უნდა იქნას დაინტერესებულ მხარეთა ყველაზე ფართო წრის ჩართულობა. ამასთან, სპეციალური მომხსენებელი მიიჩნევს, რომ აუცილებელია განისაზღვროს, თუ რა სახით წარიმართება დამოუკიდებელ საგამოძიებო მექანიზმსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტს შორის ურთიერთქმედება. ხუან მენდესი რიგი რეკომენდაციებით მიმართავს ხელისუფლებას დეპარტამენტის დამოუკიდებლობის მაღალი გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით.

სპეციალური მომხსენებლის თქმით, ასევე მნიშვნელოვანია, რომ ძველი დანაშაულების გამოძიებამ არ დააბრკოლოს ახალ ფაქტებზე სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი რეაგირება. ის მოუწოდებს ხელისუფლებას უზრუნველყოს ძალოვანი უწყებების წარმომადგენელთა მხრიდან განხორციელებული ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტების დაუყოვნებელი და ეფექტური გამოძიება და დამნაშავეთა დასჯა.

წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციისთვის აუცილებელ ღონისძიებებზე მსჯელობისას, სპეცილურმა მომხსენებელმა მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას გადახედოს საქართველოს პატიმრობის კოდექსში 2015 წლის მაისში შეტანილი ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღს, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველსა და სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრს პენიტენციურ დაწესებულებებში ფოტოგადაღების უფლებას ანიჭებს 2016 წლის 1 სექტემბრიდან.

გარდა ამისა, ანგარიშის თანახმად ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ტრავმების ფოტოგრაფირება გახდეს ჩვეულებრივი პრაქტიკა,

მათ შორის უზრუნველყოს სამედიცინო პერსონალის აღჭურვა სათანადო კამერებით და სხვა შესაბამისი მოწყობილობით; ტრავმის დოკუმენტირებისას დაცული უნდა იყოს სტამბულის კონვენციით დადგენილი სტანდარტები.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სპეციალური მომხსენებლის ანგარიში მოიცავს მთელ რიგ დეტალურ რეკომენდაციებს საკანონმდებლო რეგულაციების დახვეწისა და ინსტიტუციური რეფორმის მიმართულებით. რეკომენდაციები წამების და არასათანადო მოპყრობის პრევენციას, გამოძიებას და ანგარიშვალდებულებას, ასევე პატიმრობის პირობების გაუმჯობესების საკითხებს შეეხება.

7.2. საქართველოს სახელმწიფომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლის უფლებების დარღვევა აღიარა

5 ნოემბერს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინების თანახმად საქართველოს სახელმწიფომ ევროპული სასამართლოს წინაშე საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლის უფლებების დარღვევა აღიარა. საქართველოს მთავრობის მიერ წარდგენილი ცალმხრივი დეკლარაციის საფუძველზე მიღებული განჩინებით ევროპულმა სასამართლომ განსახილველ საქმეთა სიიდან ამორიცხა საჩივარი „მენაბდე საქართველოს წინააღმდეგ“.

საქმე ეხება 2009 წლის 15 ივნისს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის მთავარი სამმართველოს წინ გამართული მშვიდობიანი აქციის დაშლას. განმცხადებელი, ვახტანგ მენაბდე, საქართველოს სახალხო დამცველის მანდატის ფარგლებში, აღნიშნული საპროტესტო აქციის მიმდინარეობას აკვირდებოდა. განმცხადებლის მტკიცებით სამართალდამცავებმა აქციის მონაწილეთა მიმართ არაპროპორციული ძალა გამოიყენეს; კერძოდ, მენაბდის მიმართ აქციის დაშლის პროცესში გამოიყენეს რეზინის ხელკეტი, რის შემდეგაც მან ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მიიღო. ამის შემდეგ, პოლიციელებმა მენამდე დააკავეს და ხელბორკილებით გადაიყვანეს მთავარი სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორში, საიდანაც ის, დაახლოებით 15 წუთის შემდეგ გაათავისუფლეს. პოლიციის თანამშრომელმა მენაბდეს განუმარტა, რომ მისი დაკავება შეცდომით მოხდა.

განმცხადებლის მიმართვის საფუძველზე საქართველოს პროკურატურაში აქციის დაშლისას განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე გამოძიება 2009 წლიდან დაიწყო და დღემდე გრძელდება; თუმცა, არ მომხდარა დამნაშავე პირთა იდენტიფიცირება და განმცხადებელს არ აქვს მინიჭებული დაზარალებულის სტატუსი.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე 2015 წლის 13 ოქტომბერს წარდგენილი ცალმხრივი დეკლარაციით საქართველოს მთავრობამ აღიარა კონვენციის მე–3 მუხლის (წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა) პროცედურული ნაწილის დარღვევა, იმის გამო, რომ ხელისუფლებამ არ ჩაატარა ეფექტიანი გამოძება პოლიციელთა მხრიდან შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე და ფაქტზე სწრაფი და ეფექტური გამოძიების ჩატარების ვალდებულება აიღო; ასევე, აღიარა კონვენციის მე–5 მუხლის (თავისუფლების და ხელშეუხებლობის უფლება) პირველი და მე–2 ნაწილების დარღვევა.

საქართველოს მთავრობამ განმცხადებლისთვის კომპენსაციის სახით, ხარჯებისა და დანახარჯების სანაცვლოდ ჯამში 4 500 ევროს გადახდის ვალდებულება აიღო.

8. სახალხო დამცველის აპარატის ამბები

8.1. ტრენინგი „ადამიანის უფლებების როლი კონფლიქტის ტრანსფორმაციაში“

14-17 დეკემბერს სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემია სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს იწვევს ტრენინგზე - **„ადამიანის უფლებების როლი კონფლიქტის ტრანსფორმაციაში“** მონაწილეობის მისაღებად.

კურსის ძირითადი თემებია: კონფლიქტების ცნება, კონფლიქტის პრევენცია და ტრანსფორმაცია და კავშირის ადამიანის უფლებებთან; ინსტიტუტები და აქტორები კონფლიქტის მოგვარებასა და მშვიდობის მშენებლობაში; ადამიანის უფლებები და კონფლიქტის ტრანსფორმაცია; წარსულში ჩადენილ დანაშაულებებთან გამკლავება და მისი ადგილი კონფლიქტის ტრანსფორმაციაში; საქართველოს გამოცდილება კონფლიქტის ტრანსფორმაციის კუთხით: მიღწევები და გამოწვევები.

ტრენინგის საერთაშორისო ექსპერტები და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები წარუძღვებიან.

8.2. მომართვიანობის სტატისტიკა

ნოემბრის თვეში სახალხო დამცველის აპარატში შემოვიდა 705 განცხადება. დასაშვებობის გავლის შემდეგ **614 განცხადება სამსახურების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:**

- სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების დაცვის დეპარტამენტი — 88
- სს მართლმსაჯულების დეპარტამენტი — 256
- რეგიონული სამმართველო — 191
- ბავშვის უფლებათა დაცვის ცენტრი — 30
- გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი — 13
- შშმ პირთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი — 15
- ანალიტიკური დეპარტამენტი — 4
- თანასწორობის დეპარტამენტი — 9
- თავდაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტი — 8



ნოემბრის თვეში შემოსული განცხადებები თემატურად შემდეგნაირად გადანაწილდა

- პატიმართა უფლებები - 265
- სამოქალაქო უფლებები - 15
- პოლიტიკური უფლებები - 3
- სოციალური უფლებები - 129
- მოხელის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტება - 14
- სისხლის სამართლის საქმე - 103
- რელიგიური საკითხები - 8
- ბავშვის უფლებები - 25
- გენდერული თანასწორობის საკითხები - 4
- შშმ პირთა უფლებები - 12
- სასამართლო მეგობარი - 3
- საკანონმდებლო საკითხი - 4
- დისკრიმინაცია - 3
- კონფლიქტური რეგიონებიდან შემოსული განცხადებები - 2
- დამატებითი განცხადება და სხვა - 100



კონტაქტი

თბილისი:
ნინო რამიშვილის 6. თბილისი 0179
ტელ.: +99532 2234499 / 2913814 / 2913815 / 2913841 / 2913842 / 2913843 / 2913875 / 2913876 / 2913877
ფაქსი: +99532 913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge

ბათუმი:
მაზნიაშვილის ქ. 9
მობ.: 577 50 52 31
ტელ.: 0422 27 05 44

ზუგდიდი:
კოსტავას 58
მობ.: 577 50 52 34
ტელ.: 0415 22 36 11

ახალქალაქი:
ჭავჭავაძის ქ. 4
მობ.: 577 12 27 70 ;
577 12 27 71
ტელ.: 0362 22 32 83

თელავი:
ჩოლოყაშვილის ქ.36
მობ.: 591 883538
ტელ.: 0350 27 99 27

ქუთაისი:
რუსთაველის ქ. 18
მობ.: 577 55 33 81
ტელ.: 0431 25 33 50

გორი:
სამების ქ. N1
მობ.: 577 78 27 42
ტელ.: 0370 27 05 49

მარნეული:
რუსთაველის ქ. 51
ტელ.: 0357 22 19 70

ოზურგეთი:
დავით აღმაშენებლის ქ. №9
ტელ.: 0496 27 30 53
მობ.: 593 44 44 27

ცხელი ხაზი – 1481

რედაქტორი: თეონა გოგოლაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ ხიდაშელი,
ნიკო თათულაშვილი